

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება – არქეოლოგია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – არქეოლოგიის დოქტორი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 180 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა 6 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი
4. სწავლების ენა – ქართული
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები
 - ჯონი აფაქიძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
 - ვახტანგ ჯაფარიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები
 - მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი არქეოლოგიაში, ისტორიაში ან სხვა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში;

- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული, რუსული) არანაკლებ **B-2** დონეზე ცოდნა. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში კონკურსანტი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას;
- არქეოლოგიის პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა (ჩატარდება გასაუბრება ფაკულტეტზე შექმნილ დარგობრივ კომისიასთან /საკითხების ნუსხა იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id/).
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები/კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები /საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება/

7. პროგრამის მიზანი

საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერება ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო და იგი ამჯერადაც ასეთად რჩება. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საქართველო არქეოლოგიური ძეგლებით უაღრესად მდიდარი ქვეყანაა. XX საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობების გამო ამ დარგში ძალზე შემცირდა სტუდენტებისა და ასპირანტების (დოქტორანტების) რაოდენობა. ამჯერად საქართველოში მრავალი უცხოური არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს და მათ თანამშრომლობისათვის ადგილზე კარგად მომზადებული და ღირსეული პარტნიორები სჭირდებათ. ამას გარდა მთავარი, ისაა, რომ ჩვენს არქეოლოგებს შეეძლოთ დამოუკიდებელი კვლევა-ძიების წარმოება და არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელობა.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არქეოლოგიის დარგში. დოქტორანტურაში სწავლის დროს მათ უნდა მიიღონ არა მარტო თეორიული განათლება, არამედ იმგვარი პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რომ დამოუკიდებლად შეეძლოთ არქეოლოგიური ძეგლის შესწავლა, კულტურული ფენების ჩახატვა, ძეგლის ფიქსაცია, მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება და პუბლიკაციისათვის მომზადება და სამეცნიერო ნაშრომების შექმნა. ამავე დროს მიიღონ უახლოეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა პრეისტორიული არქეოლოგიის კონცეფციებისა და მეთოდების, საქართველოს, კავკასიის, ანატოლიისა და ეგეოსის ენოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიის ძირითადი პრობლემების შესახებ. ამავე დროს, უნივერსიტეტის მომავალი პროფესორის, მომზადებისას საგანგებო ყურადღება მიექცევა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და აკადემიური წერის კვლევის კომპონენტებით შესწავლას.

ამავე დროს, ფართოდ იქნება გამოყენებული უცხოეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტების გაცვლის შესაძლებლობა. არქეოლოგია მეცნიერების სწორედ ის დარგია, რომელსაც ფართო შესაძლებლობები გააჩნია სტუდენტთა საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნის მხრივ. შესაბამისად, აუცილებელია ჩვენს უცხოელ კოლეგებთან და სტუდენტებთან სამუშაო კონტაქტების გაღრმავება. სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ ფონდებთან პროექტების წარდგენა, სპონსორების მოძებნა და ა. შ. ამ მიზნით ჩვენ ვგეგმავთ სოხუმის უნივერსიტეტში მოვიწვიოთ ევროპის წამყვანი არქეოლოგები ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად. **მჭიდროდ ვთანამშროლობთ გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან, ტიუბინგენისა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტებთან. ლექციების წასაკითხად სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ვგეგმავთ წამყვანი არქეოლოგების მოწვევას გერმანიიდან (პროფ. სვენდ ჰანზენი/ბერლინი, პროფ. ბერნჰარდ ჰენზელი/ბერლინი, დოქტ. ინგო**

მოტყენბეკერი/ბერლინი), თურქეთიდან (პროფ. ა. გიოსკუნ ოზგიუნელი/ანკარა), ინგლისიდან (პროფ. ანტონი ჰარდინგი/ექსეტერი) და სხვა ქვეყნებიდან. დასავლელ კოლეგებთან ამგვარი თანამშრომლობა უდავოდ ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გამდიდრებასა და ზოგ შემთხვევაში თვით სწავლების მეთოდების დახვეწასაც. ჩვენი დოქტორანტები შეძლებენ გაიარონ მაღალი დონის არქეოლოგიური პრაქტიკა და ნელ-ნელა ისწავლონ თანამედროვე სტანდარტების დონეზე გათხრების წარმოება და მოპოვებული მასალების დამუშავება. შევნიშნავთ, რომ ჩვენი სტუდენტები დასავლელი კოლეგების ხელშეწყობით მონაწილეობენ ტროას, ტროა-უდაბნოს, ტახტიფერდასა და არუხლოს საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებში, რომლებიც გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციებია და წარმოადგენენ ტიუნინგენის უნივერსიტეტისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის გათხრებს.

8. სწავლის შედეგი

სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება თანამედროვე მკვლევარ-არქეოლოგის საჭირო უნარ-ჩვევები:

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს უახლოეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა არქეოლოგიაში, რომელიც რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეუძლია მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი, კვლევის მართვა და კვლევის პროცესი დასმული პრობლემების გადაჭრა. ფლობს არქეოლოგიის დარგისათვის სპეციფიურ, როგორც თეორიულ, ასევე საყოველთაოდ აღიარებულ თანამედროვე კვლევით მეთოდებს, რაც არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერების საშუალებას იძლევა.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეიმუშავოს და მეცნიერებაში დანერგოს არქეოლოგიისათვის დარგობრივი თვალსაზრისით სპეციფიკური ახლებური კვლევითი მეთოდები და ანალიტიკური მიდგომები. შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა. აღნიშნული მიდგომები ორიენტირებულია ახალი ცოდნის მიღებაზე, რაც არქეოლოგიის დარგში არსებულ საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვის საშუალებას იძლევა.
- **დასკვნის უნარი** - არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ხელს შეუწყობს დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განვითარებას. შეუძლია არსებული პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
- **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია. პროფესიული ინფორმაციის გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

- **სწავლის უნარი** - არქეოლოგიის დოქტორი მზადაა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განავითაროს სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში; თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესისათვის დარგობრივი კვლევა. შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა.
- **ღირებულებები** – არქეოლოგიის დოქტორს შესწევს უნარი იკვლიოს ღირებულებათა დამკვიდრების გზები და მათ დასამკვიდრებლად შეუძლია ინოვაციური მეთოდების შემუშავება. კვლევითი საქმიანობიდან, ინტენსიური სამეცნიერო კომუნიკაციიდან გამომდინარე კურსდამთავრებულს აქვს:
 - კვლევის პროცესში პასუხისმგებლობის უნარი როგორც საკუთარი თავის, ისე კოლეგებისა და საზოგადოების მიმართ;
 - დისკუსიებსა და დებატებში განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი;
 - განსხვავებული კულტურების პატივისცემა;
 - ეთიკურად მოტივირებული დასკვნების გაკეთებისა და რეალიზაციის უნარი;
 - შეურიგებლობა პლაგიატიზმთან მიმართებაში;
 - ზოგადსაკაცობრიო, ლოკალურ–სოციალური და ინდივიდუალურ ღირებულებათა ჰარმონიზაციის უნარი.

9. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*)** – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძლიან კარგი (*magna cum laude*)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (*cum laude*)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (*bene*)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*)** – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
 - „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
 - „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
 - „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

10. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების სფეროში (არქეოლოგიის მიმართულებით) გარკვეული გამოცდილებაა დაგროვილი; წინამდებარე სადოქტორო პროგრამაში, ძირითადად, მონაწილეობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი: **სრული პროფესორები: ჯონი აფაქიძე, ვახტანგ ჯაფარიძე; ასოცირებული პროფესორები: რევაზ ხვისტანი, ლია ახალაძე; მოწვეული პროფესორი: მედეა ნიორაძე.**

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისა და ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკების ბაზაზე; არქეოლოგიური მასალების შესწავლა მოხდება როგორც ეროვნულ ისე საქართველოს რეგიონების სხვადასხვა მუზეუმებსა და არქეოლოგიურ ბაზებზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, არსებობს არქეოლოგიის მიმართულება, რომელსაც ფართო ხასიათის კავშირურთიერთობები გააჩნია დასავლეთის, განსაკუთრებით კი თურქეთის, გერმანიისა და იტალიის არქეოლოგიურ ცენტრებთან. საჭიროების შემთხვევაში გაცვლითი პროგრამების თუ სხვადასხვა სტიპენდიების მეშვეობით დოქტორანტები მივლინებული იქნებიან, მაგალითად; გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ტიუბინგენის უნივერსიტეტში სტაჟირების გასავლელად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პირველ რიგში დოქტორანტები, ჩართული არიან გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტისა (DAI, ბერლინი) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შორის არსებული თანამშრომლობის პროექტში. აღნიშნული ინსტიტუტების პარტნიორობას აფინანსებს გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტის ფონდი. ჩვენი დოქტორანტი, ლევან ჭაბაშვილი 2013 წელს არქეოლოგიის სპეციალობით დოქტორის ხარისხს დაიცავს ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღწევა შესაძლებელი გახდა საკვალიფიკაციო თემის ერთობლივად შერჩევის საფუძველზე.

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა არქივებისა და წიგნთსაცავების ბაზაზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5-7 დოქტორანტამდე მიღება.

11. კვლევითი კომპონენტი

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. *(დაწვრილებით იხ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი). დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას.

ძირითადი მიმართულებები, რომლის ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა:

- ქვის ხანის საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის პრობლემები;
- ადამიანის წარმოშობა და განვითარება კავკასიაში;
- კავკასიის ცხოველთა სამყარო ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით;
- კავკასიის გეოგრაფიული გარემო და ლანდშაფტი ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში;
- კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურები;
- დასახლებანი და დასახელებათა სისტემა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კავკასიურ კულტურებში;
- კავკასიის ბრინჯაოსა და რკინის ხანის მეტალურგია, კერამიკული წარმოება, ხელოსნობა და საიუველირო წარმოება;
- ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კავკასიური კულტურების ქრონოლოგიის პრობლემები;
- საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობის პრობლემები ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში;
- საქართველოსა და ანატოლიის რკინის მეტალურგიის დასაწყისის/ადრეული ეტაპის არქეოლოგიის ძირითადი პრობლემები;
- მცირე აზიის პრეისტორიული ხანის არქეოლოგიის პრობლემები;
- ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ტროას არქეოლოგიის პრობლემები (ბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანა: ტროა I-IX);
- ეგეოსური არქეოლოგიის პრობლემები;
- საქართველოს ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიის პრობლემები;
- საქართველოსა და კავკასიის ელინისტური ხანის პრობლემები;
- საქართველოსა და კავკასიის გვიანანტიკური ხანის პრობლემები;
- აღმოსავლეთ შავი ზღვისპრეთისა და შავი ზღვის აუზის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები;
- აფხაზეთის არქეოლოგიის პრობლემები და საკითხები უძველესი დროიდან ადრე ანტიკურ ხანის ჩათვლით და სხვ.

12. პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა ეტაპობრივი პრინციპით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი შედეგები გულისხმობს. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია *სასწავლო* და *კვლევით* კომპონენტებს შორის. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი გადანაწილებულია სწავლების **პირველ** და **მეორე** სემესტრებზე (დაწვრილებით *სასწავლო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 2*); შესაბამისად, აღნიშნულ სემესტრებში დოქტორანტი აითვისებს **21 ECTS საუნივერსიტეტო სავალდებულო კრედიტს** (სწავლების თანამედროვე მეთოდები, დოქტორანტის სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით) და **39 ECTS დარგობრივ კრედიტს**. დარგობრივი კრედიტების ასათვისებლად დოქტორანტებს პროგრამა სთავაზობს შემდეგ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს: *პრეისტორიული არქეოლოგია - კონცეფციები და მეთოდები, საქართველოსა და კავკასიის პრეისტორიული არქეოლოგიის ძირითადი პრობლემები, რკინის მეტალურგიის დასაწყისი კავკასიასა და ანატოლიაში, კლასიკური (ანტიკური) არქეოლოგიის შესწავლის თანამედროვე მეთოდები, თეორიები და პრაქტიკა, ტროა - მითები და რეალობა (არჩევითი), თანამედროვე არქეოლოგიის აქტუალური პრობლემები: პრეისტორიული და ანტიკური ხანის არქეოლოგიური კულტურები (არჩევითი), საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიური ძეგლები (არჩევითი), ასევე დოქტორანტს ვთავაზობთ საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამიდან არჩევით სასწავლო კურსს-აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები, და სწავლების მეორე სემესტრში სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტები გადიან სავალდებულო არქეოლოგიურ პრაქტიკას. სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სასწავლო კომპონენტი მიმართულია, რათა დოქტორანტმა, თავისი ინტერესებიდან და საკვალიფიკაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად შეარჩიოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ არქეოლოგიის საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს.*

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (დაწვრილებით *სამეცნიერო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 3*); მოიცავს **120 ECTS კრედიტს**, რომელიც, ძირითადად, გადანაწილებულია სწავლების **მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე** სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის 30 ECTS კრედიტი გადანაწილდება ორი კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციაზე; 90 ECTS კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობაზე, საბოლოოდ გაფორმებასა და პრეზენტაცია/საჯარო დაცვაზე. ფაქტობრივად, სწავლების პირველ წელს დოქტორანტს მიეცემა საშუალება სასწავლო კურსების მეშვეობით გაეცნოს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს; გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა მისთვის საინტერესო რაკურსით; ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეარჩიოს და შეადგინოს სადოქტორო თემის გეგმა და დაიწყოს ბიბლიოგრაფიის დამუშავება; ხოლო სწავლების მეორე წლიდან, ოთხი სემესტრის მანძილზე, დოქტორანტი მაქსიმალურად მიმართულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე. აღნიშნულ პერიოდში

- დოქტორანტი აფართოებს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ცოდნის არეალს; ახდენს მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზებას და მეცნიერულ დამუშავებას; სრულყოფს კვლევის მეთოდოლოგიას;
- ეტაპობრივად ამუშავებს სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ თავებს და კოლოქვიუმებზე (მე-4 და მე-5 სემესტრში) ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტების წინაშე დისკუსიისა და მსჯელობის ფორმატში წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთი კონკრეტული ეპიზოდის/მსხვილი პრობლემის საჯარო პრეზენტაციას;
- დოქტორანტი ავითარებს და სრულყოფს პრეზენტაციის უნარს, სამეცნიერო ზეპირი პაექრობის ტექნიკას, დისკუსიის ხელოვნებას;
- დოქტორანტი ბოლო (მე-6) სემესტრში საბოლოოდ გააფორმებს სადისერტაციო ნაშრომს და წარმოადგენს მას ჯერ შუალედურ და შემდგომ დასკვნით საჯარო დაცვაზე (დაწვრილებით *იხ. დანართი 1; სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა*);

- სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად დოქტორანტი ამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს (არანაკლებ სამისა) რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად აუცილებელი სტანდარტის დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო ნაშრომში მოხდება დოქტორანტის მიერ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი უნარების კონცენტრირება და გამოვლენა.

ამგვარად, დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						ლექტორი	
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI		
სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი													
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	EDUC D 301	6	35	115	6							ჯ. ჯინჯიბაძე განათლების მეცნ. დოქტორი, სსუ სრული პროფესორი ლ. რეხვიაშვილი განათლების დოქტორი
2.	აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით	ACAD D 301	6	35	115	6							
3.	პროფესორის ასისტენტობა	ARCH D 301	3	20	55		3						
4.	სემინარი 1	ARCH D 302	3	20	55		3						
5.	სემინარი 2	ARCH D 303	3	20	55			3					

დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი											
1.	პრეისტორიული არქეოლოგია - კონცეფციები და მეთოდები	ARCH D 304	9	50	175	9					მედეა ნიორაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
2.	საქართველოსა და კავკასიის პრეისტორიული არქეოლოგიის ძირითადი პრობლემები	ARCH D 305	6	35	115	6					მედეა ნიორაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
3.	რკინის მეტალურგიის დასაწყისი კავკასიასა და ანატოლიაში	ARCH D 306	6	35	115		6				ჯონი აფაქიძე სსუ სრული პროფესორი
4.	კლასიკური (ანტიკური) არქეოლოგიის შესწავლის თანამედროვე მეთოდები, თეორიები და პრაქტიკა	ARCH D 307	6	35	115		6				ვახტანგ ჯაფარიძე სსუ სრული პროფესორი
5.	საველე არქეოლოგიური პრაქტიკა	ARCH D 308	3	35	40		3				ჯონი აფაქიძე სსუ სრული პროფესორი
არჩევითი სასწავლო კურსები-9 კრედიტი						3	6				
1	ტროა - მითები და რეალობა	ARCH D 309	6	35	115						ჯონი აფაქიძე სსუ სრული პროფესორი
2	თანამედროვე არქეოლოგიის აქტუალური პრობლემები: პრეისტორიული და ანტიკური ხანის არქეოლოგიური კულტურები	ARCH D 310	6	35	115						ვახტანგ ჯაფარიძე სსუ სრული პროფესორი
3	საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიური ძეგლები	ARCH D 311	3	20	55						რევაზ ხვისტიანი სსუ ასოცირებული პროფესორი
4	აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები	HIST D 313	3	20	55						ლია ახალაძე სსუ ასოცირებული პროფესორი
კვლევითი კომპონენტი - 120											
1.	კოლოქვიუმი 1	ARCH D 312	15						15		
2.	კოლოქვიუმი 2	ARCH D 313	15						15		
3.	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	ARCH D 314	90				3	27	15	15	30
სულ - 180 კრედიტი						30	30	30	30	30	30